


თაზო III

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიბნეპები

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 11 415 475.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 2 767 384.0 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 24.2%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 2 473 392.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 89.4%-ია.

საქართველოს 2011-2017 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების წლიური, კვარტლის გეგმიური და საკასო მაჩვენებლები

(ათას ლარებში)



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 9 121 225.2 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 2 294 718.5 ათასი ლარი, რაც წლიური

დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 25.2%-ია. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 2 071 274.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 90.3%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 999 041.3 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 149 648.1 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 15.0%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 120 361.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 80.4%-ია.


სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 769 021.5 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 172 756.4 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 22.5%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 138 292.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 80.1%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 526 187.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 150 261.0 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 28.6%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 143 464.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.5%-ია.

2017 წლის I კვარტლის ასიგნებების სტრუქტურა
(საკასო შესრულება)



გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით. სულ საანგარიშო პერიოდში მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის მიზნით გადარიცხულ იქნა 418.2 მლნ ლარი.

- მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის სოციალური დახმარებისა და ბავშვთა ინსტიტუციური დაწესებულებებიდან ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებასთან დაკავშირებული რეინტეგრაციის შემწეობის გაცემა. ასევე, სოციალური პაკეტის დაფინანსება შშმ პირებისთვის, შშმ ბავშვებისთვის, მარჩენალდაკარგულებისთვის და სხვა მოწყვლადი კატეგორიებისათვის, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებით უზრუნველყოფა და შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მესამე და ყოველ მომდევნო ცოცხლადშობილი შვილის დაბადების გამო, ასევე, 2016 წლის 1 იანვრიდან დაბადებული ბენეფიციარებისათვის (პირველი, მეორე, მესამე და ყოველი მომდევნო შვილი), რომელთა ერთ-ერთ მშობელს აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივი ცხოვრების პირის სტატუსი, ფულადი დახმარების გაცემა ფულადი დახმარების გაცემა. მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების გასაცემად საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა სულ 160.7 მლნ ლარი;

- „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში (სრულად ამოქმედდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან), რომლის მიზანია ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. პროგრამამ მოიცვა ასევე, გეგმიურ-ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებები (გეგმიური ქირურგული ოპერაციები მ.შ. კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური ოპერაციები, ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა, მშობიარობა, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები და ა.შ.). სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 163.5 მლნ ლარი;

- 2016 წლის პირველი სექტემბრიდან ძალაში შევიდა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათები, კერძოდ: მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერები იღებენ დანამატს პენსიის 20%-ის ოდენობით, ასევე სოციალური პაკეტის მიმღებთათვის დაინიშნა დანამატი სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით. ასევე, დანამატები მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისთვის (ექიმისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის – პენსიის ერთმაგი ოდენობით). სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 9.5 მლნ ლარი;

- საქართველოს თავდაცვის, საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს სასაგელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროების მიერ დაფინანსებულ იქნა მოსამსახურეთა სადაზღვევო პრემიები;

- მიმდინარეობდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა, რომლის ფარგლებშიც კერძო საკუთრებაში

საცხოვრებელი ფართი (ბინა) გადაეცა 330 ოჯახს, ქ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილ იქნა 90 საცხოვრებელი სახლი. განხორციელდა კერძო საკუთრებაში არსებული 2 ბინის გამოსყიდვა, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილ იქნა 2 საცხოვრებელი სახლი. ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქ. N7-ში, დასრულდა საცხოვრებელი კომპლექსის I ეტაპის მშენებლობა და მიმდინარეობდა II ეტაპი. ასევე, მიმდინარეობდა საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ. N53-ში, ქ. გორში მოსკოვის ქუჩაზე და ქ. წყალტუბოში, სოფ. გვიშტიბში მდებარე მიწის ნაკვეთებზე; დასრულდა მენაშენებისაგან საცხოვრებელი ბინების შეძენა (ქ. ქუთაისში შმიდტის ქ. ნაკვეთზე N2 და N3, ქ. თბილისში ც. დადიანის ქ. N7 ე-1 და ე-2 ბლოკებში და ახლადამშენებულ კორპუსებში ჩინური კომპანია „ჰუალინგ ჯგუფისგან“). დასრულდა შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ქ. გორში, ცხინვალის გზაკეცილის მე-3 კმ-ზე მდებარე შენობა N1, ქ. ზუგდიდში, დემურიას ქ. N1 და ქ. თბილისში თბილისის ზღვის მიმდებარედ კადეტთა კორპუსის N5 მდებარე დევნილთა განსახლების ობიექტში. მიმდინარეობდა ერედვისა და თიღვის მუნიციპალიტეტებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთათვის, გრძელვადიანი განსახლების ფარგლებში გადაცემული კოტეჯების იატაკების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები;

- გრძელვადიანი საცხოვრებელით ახალამშენებულ კორპუსებში დაკმაყოფილდა 173 ოჯახი (ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქ. N7 - 144 ოჯახი; გორის რაიონის მუნიციპალიტეტში - 29 ოჯახი).

- სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 1 283 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 418 ოჯახს - საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 200-დან 300 ლარამდე);

- ქვეყნის მასშტაბით არსებული 2 082 საჯარო და 237 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიმართა 143.6 მლნ ლარი.

- „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ქვეპროგრამის ფარგლებში 2016-2017 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში ჩართული იყო 21 ინგლისურენოვანი, 1 ფრანგულენოვანი, 1 გერმანულენოვანი და 16 ჩინურენოვანი მოხალისე მასწავლებელი;

- საგანმანათლებლო დაწესებულების 1 275 მანდატური უზრუნველყოფდა წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას 445 საჯარო და ერთ კერძო სკოლაში, 3 პროფესიულ სასწავლებელსა და ერთ უნივერსიტეტში;

- უზრუნველყოფილ იქნა 1 215 საჯარო სკოლის 68.2 ათასი მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტში, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და სკოლამდე მისასვლელი მანძილი შორია.

- პროგრამის „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსება“ ფარგლებში 2016-2017 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სწავლება დაუფინანსდა გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, წალენჯიხის, დუშეთის, ონისა და საჩხერის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ 45 სტუდენტს;

- დასრულდა 6 საჯარო სკოლის (სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლა, სსიპ - აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის საჯარო სკოლა, სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელს ფარცხანაყანების N3 საჯარო სკოლა, სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელს ფარცხანაყანების N1 საჯარო სკოლა, სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა, სსიპ - ქალაქ ქუთაისის N15 საჯარო სკოლა) სარეაბილიტაციო სამუშაოები, დიდმის ახალი სკოლის საპროექტო დოკუმენტაციისა და სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხაბუმეს თემის N3 საჯარო სკოლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, 277 საგანმანათლებლო დაწესებულების სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირება;

- შეძენილ იქნა 546 ერთეული სტანდარტული კომპიუტერი ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, კომპაქტით გათვალისწინებული სკოლებისა და

ახალაშენებული სკოლების კომპიუტერებით უზრუნველსაყოფად. 12 საჯარო სკოლა აღიჭურვა 140-ზე მეტი დასახელების ნივთით, მასალებითა და რეაგენტებით;

- დასრულდა სსიპ - პროფესიული კოლეჯ „მოდუსის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირება, სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯ „ფაზისის“ სოფელ ნოჯიხევში მდებარე სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაცია და ეზოს შემოღობვის სამუშაოები, სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯ „იბერიის“ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯ „ახალი ტალღის“ მეორე კორპუსის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებულ იქნა მონაწილეობა საერთაშორისო მუსიკალურ და თეატრალურ ფესტივალებში, კონკურსებში და გამოფენებში. განხორციელდა სწავლასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება როგორც ქვეყნის ასევე უცხოეთის წამყვან სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებში;

- ხელი შეეწყო, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების მდგომარეობის შეფასების, ძეგლების რეაბილიტაცია/კონსერვაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას;

- „სპორტსმენთა სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები გაიცა 700 სპორტსმენზე, მწვრთნელზე და საექიმო პერსონალზე. „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების“ პროგრამის ფარგლებში მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 418 ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება. „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები დანიშნული აქვს 32 სახელოვან სპორტსმენს, თითოეულს 1000 ლარის ოდენობით.

- განხორციელდა სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში რიცხული 150 სპორტსმენის, მათ შორის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრებისა და კანდიდატების უზრუნველყოფის პროგრამა საცხოვრებლით, კვებით და სპორტული დარბაზებით.

- სპორტულ სახეობათა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 60-მდე ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი და 95 -მდე სასწავლო - საწვრთნო შეკრება სპორტის 48 სახეობაში. ქართველმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 92 საერთაშორისო სპორტულ ასპარეზოებაში და მოიპოვეს 140 მედალი (45 ოქრო, 39 ვერცხლი და 56 ბრინჯაო);

- ქვეყნის მასშტაბით, სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სპორტული ინფრასტრუქტურის განახლების პროგრამის ფარგლებში დაწყებულია თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამი სპორტის სასახლის მშენებლობა (ბათუმი, გორი, თელავი). რაგბისა და ფეხბურთის სახეობების განვითარების მიზნით მიმდინარეობს თბილისში - 7, ხოლო ქუთაისში - 2 სტანდარტული მოედნის მშენებლობა (მათ შორის - 5 ბუნებრივი და 4 ხელოვნური საფარით). პროგრამის „იცხოვრე სპორტით, დარჩი ახალგაზრდა“ ფარგლებში დაწყებულია გარე სავარჯიშო მოწყობილობების განთავსება 10 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;

- საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020წწ) სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა 70 საფეხბურთო კლუბი (საბაზო დაფინანსება);

- ანაზღაურებულ იქნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში (სეთურნი, ზაქათკარი, ჯალმიანი, ბედონი, ბენიან-ბეგონი, იუხო, მუდურუ, წკერე, ციხიანი, სვიანა-როსტიანი და ქოროლო, აგრეთვე იმ სოფლებში, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭათ) მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის (4.3 ათასზე მეტი აბონენტი) მიერ 2016 წლის დეკემბერში და 2017 წლის იანვარ-თებერვალში მოხმარებული 5.9 მლნ მკ ბუნებრივი აირის ღირებულება 2.5 მლნ ლარის ოდენობით.

- „საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, მიმდინარეობდა მუშაობა ხარაგაულის, ზუგდიდის, მარტვილის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ლაგოდეხის, ყვარელის, გარდაბნის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, ამბროლაურის და ონის მუნიციპალიტეტების სოფლების

გაზიფიცირებაზე. ჩატარდა სატენდერო პროცედურები საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულებაზე. საანგარიშო პერიოდში ამ მიზნით მიმართულ იქნა 2.2 მლნ ლარი.

- სამელიორაციო და დამშრობი სისტემების რეაბილიტაციის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, მანქანა მექანიზმების, მოწყობილობების, დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების შექმნის, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის, მექანიკური სატუმბო სადგურებისა და სხვა ჰიდროკვანძების ფუნქციონირებისთვის მოსახმარი ელექტროენერჯის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებების დაფინანსების მიზნით მიმართა 11.5 მლნ ლარი;

- „შელავათიანი აგროკრედიტის“ პროექტის ფარგლებში ხორციელდება მეწარმეთა უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით, შესაბამისად სააგენტო უზრუნველყოფს პროექტში მონაწილე კომერციული ბანკების და საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, დადგენილი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. საანგარიშო პერიოდში გაცემულია 23 სესხი - 1,5 მლნ აშშ დოლარის და 478 სესხი - 32.3 მლნ ლარის ოდენობით. სულ გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსების თანხამ შეადგინა 12,5 მლნ ლარი.

- „დანერგე მომავალის“ პროექტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დამტკიცებულია 740,5 ჰექტარზე გასაშენებელი 105 ბადის პროექტი. აღნიშნულის დაფინანსების მიზნით მიმართა დაახლოებით 3,0 მლნ ლარი.

- ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ფარგლებში ძირითადად განხორციელებული იქნა იძულებითი და პროფილაქტიკური ვაქცინაცია: ცოფის, ჯილეხის, ცხვრისა და თხის ყვავილის, ნოდულარული დერმატიტის, წვრილფეხა პირუტყვის ჭირის, ყირიმ კონგოს, ბრუცელოზის, თურქულის, საწინააღმდეგოდ. ასევე, მიმდინარეობდა ცხოველთა იდენტიფიკაცია რეგისტრაცია.

- მევენახეობა-მელვინეობის განვითარების ფარგლებში ქართული კომპანიების ხელშეწყობის მიზნით, ქართული ღვინოების პოპულარიზაცია და ახალი სამომხმარებლო ბაზრის ათვისებისათვის საჭირო ღონისძიებების დასაფინანსებლად მიმართულ იქნა 2,8 მლნ ლარი.

- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე, გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯულ იქნა 111.0 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ საავტომობილო გზების რეაბილიტაცია - 10.0 მლნ ლარი.
- ✓ საავტომობილო გზების პერიოდული-მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში - 14.0 მლნ ლარი.
- ✓ ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა - 61.7 მლნ ლარი.

- სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახარჯულ იქნა 65.2 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამაზე - 21.6 მლნ ლარი;
- ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) პროექტზე - 1.5 მლნ ლარი.
- ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) - 1.1 მლნ ლარი.
- ✓ საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი - 8.6 მლნ ლარი.
- ✓ საქართველოში მყარი ნარჩენების მართვის პროექტი - 19.0 მლნ ლარი.

- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში ძირითადად მიმდინარეობდა:

- ✓ წნორის, სიღნაღის, ოზურგეთის, თელავის სოფელ კურდღელაურის, ახმეტის, ლაგოდეხის, სენაკის, ტყიბულის, ბოლნისის, ზესტაფონის, ქარელის წყალმომარაგების და წყალსადენის სისტემების რეაბილიტაცია;
- ✓ ურეკში წყალმომარაგების, საკანალიზაციის სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა;
- ✓ ქუთაისში რეზერვუარის, სატუმბი სადგურის, მაგისტრალური მილსადენისა და გამანაწილებელის მშენებლობა;
- ✓ ზუგდიდის სასმელი წყლის სისტემის, კერძოდ: რეზერვუარის და სატუმბი სადგურის, გამანაწილებელი ქსელის, ბაშის რეზერვუარის და ინგირის სატუმბი სადგურის მშენებლობა;
- ✓ ანაკლიის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების, სავენტილაციო სადგურის, ჩამდინარე წყლის სატუმბი სადგურის და ლამის სატუმბი სადგურის მშენებლობა.

აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიმართული იქნა 32.1 მლნ ლარი, მათ შორის წყლის ინფრასტრუქტურის განახლებაზე - 2.7 მლნ ლარი, ხოლო ურბანული მომსახურების გაუმჯობესებაზე - 27.4 მლნ ლარი.

- სახელმწიფო ქონების ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის მიზნით, სახელმწიფო უწყებებს/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს გადაეცა 37 უძრავი ობიექტი, ხოლო თვითმმართველ ერთეულებს - 239 ობიექტი;

- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტომ 375 უძრავი ქონება გადასცა იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს;

- „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულებები 16 ბენეფიციარ კომპანიასთან კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსებაზე, მათ შორის 5 ბენეფიციარ კომპანიასთან სასტუმროს ინდუსტრიის ხელშეწყობის მიმართულებით. აღნიშნულ კომპანიებზე კომერციული ბანკებიდან გაცემული სესხის მოცულობამ შეადგინა 20.3 მლნ ლარი. კომპანიების მხრიდან მოსალოდნელი ჯამური ინვესტიციის მოცულობა აღემატება 47.0 მლნ ლარს;

- ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის წარმოჩენის მიზნით მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით 25-მა ქართულმა კომპანიამ მონაწილეობა მიიღო საკვები პროდუქტების საერთაშორისო გამოფენებში „Gulfood 2017“ (არაბთა გაერთიანებული საამიროები) და „Foodex Japan 2017“ (იაპონია);

- საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით მოეწყო 11 პრეს და გაცნობითი ტური სხვადასხვა მიზნობრივ ბაზრებზე, შეიქმნა ორი ვიდეო-რგოლი, დაიწყო ზაფხულის ონლაინ მარკეტინგული კამპანია 14 ქვეყანაში (მათ შორის 4 ქვეყანაში სატელევიზიო რეკლამა), დაიბეჭდა და განთავსდა სტატიები სხვადასხვა ტურისტული მიმართულების საერთაშორისო ჟურნალ-გაზეთებში და აგრეთვე, მონაწილეობა იქნა მიღებული შემდეგ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებზე: „FITUR 2017“ (ესპანეთი); „Adventur Litexo“ (ლიტვა); „EMITT 2017“ (თურქეთი); „Holiday Fair-Brussels“ (ბელგია); „Balttour 2017“ (ლატვია); IMTM (ისრაელი); „ITB 2017“ (გერმანია); COTTM (ჩინეთი); „UITT 2017“ (უკრაინა) და „IBTM Arabia“ (არაბთა გაერთიანებული საამიროები);

- ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის ფარგლებში, სამოქმედო გეგმის შესაბამისად, დაიწყო ანაკლიის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა;

- გაიზარდა საქართველოს საელჩოების გადაფარვის არეალი. ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში ხელი მოეწერა და ძალაში შევიდა 27 ხელშეკრულება. საქართველოს მიერ განხორციელებულ იქნა ყოველწლიური საწევრო შენატანი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ ფონდებსა და სამშვიდობო მისიებში;

- საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება ყირგიზეთის რესპუბლიკასთან;

- ევროკავშირის მხარდაჭერით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა შეხვედრები ქ. თბილისსა და რეგიონებში (ქ. ბათუმი, ქ. ქუთაისი, ქ. რუსთავი, ქ. ბორჯომი) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და დაინტერესებულ სამოქალაქო სექტორთან ფისკალური მართვის ძირითადი პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. განხილულ იქნა საქართველოს ფისკალური პოლიტიკა და მისი თავსებადობა ევროკავშირის პრაქტიკასთან, ასევე ამ მიმართულებით განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები.

- „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში” ცვლილებების შეტანის თაობაზე” შეთანხმების შესაბამისად 2017 წლის 15 მარტს განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 15 მარტს გამოშვებული 360,846.0 ათასი ლარის სახელმწიფო ობლიგაციების განახლება 320,846.0 ათასი ლარის ოდენობით, წლიური 7.306 პროცენტი სარგებლის გადახდით და 40,000.0 ათასი ლარის გადაფორმება სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის, საიდანაც:

- 10,000.0 ათასი ლარი გადაფორმდა წლიური 8.000 პროცენტი სარგებლის გადახდით;
- 8,000.0 ათასი ლარი წლიური 8.125 პროცენტი სარგებლის გადახდით;
- 12,000.0 ათასი ლარი წლიური 8.250 პროცენტი სარგებლის გადახდით;
- 10,000.0 ათასი ლარი წლიური 8.375 პროცენტი სარგებლის გადახდით.

ასევე, ზემოაღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, 2017 წლის 15 მარტს განხორციელდა 2012 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 7,000.0 ათასი ლარის ოდენობით.

- „საბანკო კრედიტის/სესხის საქართველოს ეროვნულ ვალუტაში კონვერსიისა და საქართველოს მთავრობის მიერ სუბსიდირების განხორციელების სახელმწიფო პროგრამით“ ისარგებლა 5 614 ბენეფიციარმა. გალარებული სესხების პორტფელმა შეადგინა 78.6 მლნ აშშ დოლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან განხორციელდა 15.7 მლნ ლარის სუბსიდირება.

- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა, დაფინანსდა 20 პოლიტიკური პარტია;

- გრძელდებოდა ქართული ქვედანაყოფების მონაწილეობის მიღება ავღანეთში ნატო-ს სამშვიდობო მისიაში „მტკიცე მხარდაჭერის მისია (RSM, QRF, COY, GDP)“ და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწრთვინელ მისიაში (EUTM RCA).

- საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 11 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიიმართა 9.2 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 348 688.6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 335 481.6 ათასი ლარი (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საკასო ხარჯი შემცირდა 11 660.6 ათასი ლარით), რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.2%-ს შეადგენს. „შრომის ანაზღაურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 16.2%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 13.6%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 289 332.5 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 222 092.4 ათასი ლარი (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საკასო ხარჯი შემცირდა 12 038.5 ათასი ლარით), რაც გეგმის 76.8%-ს შეადგენს. „საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 10.7%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 9.0%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 35 360.9 ათასი ლარი;
- მივლინება - 19 191.5 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები - 42 000.1 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები - 3 271.6 ათასი ლარი;
- კვების ხარჯები - 15 687.7 ათასი ლარი;
- სამედიცინო ხარჯები - 14 411.4 ათასი ლარი;
- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 6 853.1 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 22 253.9 ათასი ლარი;
- სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები - 1 050.5 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 62 011.6 ათასი ლარი.


„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 119 726.9 ათასი ლარი (დაზუსტებული გეგმის 97.6%), რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 4.8%-ს შეადგენს. პროცენტის მუხლიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართული იქნა 37 379.8 ათასი ლარი, ხოლო საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე 82 297.6 ათასი ლარი.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა 170 811.9 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 114 597.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 67.1%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 4.6%-ს შეადგენს.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა:

- ✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 24 304.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 88.6%-ს შეადგენს;
- ✓ ერთიანი აგროპროექტი - ჯამურად მიიმართა 15 500.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებაზე ჯამურად მიიმართა 14 176.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92.8%-ს შეადგენს.
- ✓ შიდა ტურიზმი და მარკეტინგული ღონისძიებები საერთაშორისო ბაზარზე - აღნიშნული მიზნით მიიმართა 7 500.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 230 944.3 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (275 107.9 ათასი ლარი) 84.0%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 9.3%-ს შეადგენს.



„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 807 196.0 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის (809 468.5 ათასი ლარი) 99.7%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 32.6%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ✓ მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 418 155.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 163 499.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 160 688.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის და მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში პროგრამები - აღნიშნული მიზნით ჯამურად მიიმართა 39 097.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ს შეადგენს;

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 278 661.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 241 235.5 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 86.6%-ს. „სხვა ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 11.6%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების - 9.8%-ს შეადგენს.


„სხვა ხარჯების“ მუხლიდან დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 143 572.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ს შეადგენს;

- საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 16 404.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 74.9%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 14 785.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 47.3%-ს შეადგენს;

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჯგუფში

2016-2017 წლების I კვარტლების ფაქტიური შესრულება ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 702 - თავდაცვა, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 - ჯანმრთელობის დაცვა, 708-დასვენება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

შენიშვნა: 701* - გათვალისწინებული არ არის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები

• საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 520 314.8 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 406 119.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 78.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 18.5%. მათ შორის:

- ✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებამ შეადგინა 75 277.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (90 637.3 ათასი ლარი) 83.1%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 7 463.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (7 482.5 ათასი ლარი) 99.7%-ია;
- ✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 119 677.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (122 597.6 ათასი ლარი) 97.6%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების დაფინანსებამ მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის შეადგინა 179 657.9 ათასი ლარი (ძირითადად მოიცავს მუნიციპალიტეტებისთვის გადარიცხულ ტრანსფერებს), ანუ გეგმის (224 072.9 ათასი ლარი) 80.2%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 24 043.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (75 524.5 ათასი ლარი) 31.8%-ია.

• თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 178 233.4 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 138 834.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 77.9%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 6.3%. მათ შორის:

- ✓ შეიარაღებული ძალების დაფინანსებამ შეადგინა 118 778.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (152 585.7 ათასი ლარი) 77.8%;
- ✓ საგარეო სამხედრო დახმარების დაფინანსებამ შეადგინა 12 965.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (13 596.0 ათასი ლარი) 95.4%;
- ✓ თავდაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 5 748.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (7 190.2 ათასი ლარი) 79.9%-ს შეადგენს;
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ თავდაცვის სფეროში შეადგინა 1 342.1 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის (4 861.5 ათასი ლარი) 27.6%-ია.

• საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 247 047.9 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 229 309.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 92.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 10.5%. მათ შორის:

- ✓ პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 128 091.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (134 432.2 ათასი ლარი) 95.3%;
- ✓ სახანძრო სამაშველო სამსახურის დაფინანსებამ შეადგინა 13 861.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (14 413.8 ათასი ლარი) 96.2%;

- ✓ სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსებამ შეადგინა 25 265.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (27 924.7 ათასი ლარი) 90.5%-ს შეადგენს;
- ✓ სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 29 800.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (30 288.0 ათასი ლარი) 98.4%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 32 291.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (39 989.2 ათასი ლარი) 80.8%-ს შეადგენს.
 - ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 207 097.9 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 200 606.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.9%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 9.2%. მათ შორის:
 - ✓ საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 8 077.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (9 352.3 ათასი ლარი) 86.4%;
 - ✓ სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსებამ შეადგინა 32 075.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (32 979.5 ათასი ლარი) 97.3%-ს შეადგენს;
 - ✓ სათბობზე და ენერგეტიკაზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 6 085.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (6 333.2 ათასი ლარი) 96.1%-ს შეადგენს;
 - ✓ სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობაზე და მშენებლობაზე მიმართული იყო 244.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (266.5 ათასი ლარი) 91.7%;
 - ✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 122 902.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (122 928.0 ათასი ლარი) 100.0%;
 - ✓ ეკონომიკის სხვა დარგების დაფინანსებამ შეადგინა 26 108.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (29 510.2 ათასი ლარი) 88.5%;
 - ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 5 112.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (5 728.2 ათასი ლარი) 89.2%-ს შეადგენს.
- გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 14 582.2 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 18 563.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 127.3%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.8%. მათ შორის:
 - ✓ ნარჩენების შეგროვების, გადამამუშავებისა და განადგურების დაფინანსებამ შეადგინა 7 391.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (3 102.0 ათასი ლარი) 238.3%-ს შეადგენს;
 - ✓ გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის დაფინანსებამ შეადგინა 200.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (204.9 ათასი ლარი) 97.8%-ს შეადგენს;
 - ✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 3 691.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (3 518.9 ათასი ლარი) 104.9%-ს შეადგენს;
 - ✓ გარემოს დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 7 280.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (7 756.4 ათასი ლარი) 93.9%-ს შეადგენს.
- საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 6 301.7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 4 362.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 69.2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.2%. მათ შორის:
 - ✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 2 630.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (3 303.2 ათასი ლარი) 79.6%-ს შეადგენს;


- ✓ წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 1 129.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 111.6 ათასი ლარი) 53.5%-ს შეადგენს;
 - ✓ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 602.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (886.9 ათასი ლარი) 67.9%-ს შეადგენს.
- ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 251 058.7 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 245 811.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97.9%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 11.2%. მათ შორის:
 - ✓ სამედიცინო პროდუქციის, მოწყობილობების და აპარატების დაფინანსებამ შეადგინა 1 578.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 606.5 ათასი ლარი) 98.3%;
 - ✓ ამბულატორიული მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 175 247.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (175 371.7 ათასი ლარი) 99.9%-ს შეადგენს;
 - ✓ საავადმყოფოების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 35 337.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (33 602.0 ათასი ლარი) 105.2%;
 - ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 15 478.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (17 296.9 ათასი ლარი) 89.5%-ს შეადგენს;
 - ✓ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 18 169.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (23 181.6 ათასი ლარი) 78.4%-ს შეადგენს.
- დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 72 104.8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 58 371.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 81.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 2.7%. მათ შორის:
 - ✓ დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 27 127.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (31 611.0 ათასი ლარი) 85.8%;
 - ✓ კულტურის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 17 173.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (23 032.9 ათასი ლარი) 74.6%-ს შეადგენს;
 - ✓ ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 11 345.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (14 273.8 ათასი ლარი) 79.5%-ს შეადგენს;
 - ✓ რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 228.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (283.6 ათასი ლარი) 80.5%-ს შეადგენს;
 - ✓ დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 2 497.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 903.5 ათასი ლარი) 86.0%-ს შეადგენს.
- განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 301 112.6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 254 637.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 84.6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 11.6%. მათ შორის:
 - ✓ ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 144 408.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (146 877.4 ათასი ლარი) 98.3%-ს შეადგენს;
 - ✓ პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 7 674.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (9 132.5 ათასი ლარი) 84.0%;

- ✓ უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 27 974.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (42 295.9 ათასი ლარი) 66.1%-ს შეადგენს;
- ✓ უმაღლესის შემდგომი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 142.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (81.6 ათასი ლარი) 175.1%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 24 205.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (30 956.2 ათასი ლარი) 78.2%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 11 572.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (14 453.8 ათასი ლარი) 80.1%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 38 658.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (57 315.1 ათასი ლარი) 67.4%-ს შეადგენს.

• სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 646 512.6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 635 020.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 29.0%. მათ შორის:

- ✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 400.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (412.0 ათასი ლარი) 97.2%;
- ✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 425 148.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (425 161.5 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 164 087.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (164 145.1 ათასი ლარი) 100.0%;
- ✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 2 603.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (2 609.3 ათასი ლარი) 99.8%;
- ✓ სოციალური გაუცხოების საკითხების, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას, დაფინანსებამ შეადგინა 32 246.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (41 289.7 ათასი ლარი) 78.1%;
- ✓ სოციალური დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 10 534.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (12 895.0 ათასი ლარი) 81.7%-ს შეადგენს.

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ კრილში



საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

საქართველოს მთავრობის განკარგულებებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 9 254.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 3 008.8 ათასი ლარი.

ლარებში

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია		161,136.4	134,153.8	134,153.8	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N2752 30.12.16.	საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით, აუცილებელი მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად	161,136.4	134,153.8	134,153.8	0.0
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი		93,000.0	93,000.0	0.0	93,000.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N555 23.03.17.	2017 წლის 2-11 აპრილს ნატოს კვირეულის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით	93,000.0	93,000.0	0.0	93,000.0
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი		37,800.0	37,800.0	13,105.0	24,695.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N267 15.02.17.	პროექტ „დაჩაგრულებს“ ჩატარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით	37,800.0	37,800.0	13,105.0	24,695.0
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო		4,554,894.7	148,167.5	148,153.0	14.5
საქართველოს მთავრობის განკარგულება N22 11.01.17.	საერთაშორისო სარბიტრაჟო დავებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით სახელმწიფოს წარმომადგენლობის განხორციელების მიზნით, იურიდიული კომპანიებისგან იურიდიული მომსახურების შესყიდვის, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მიმდინარე საქმის - „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II) ფარგლებში“ - ფიზიკური ან იურიდიული პირებისაგან იურიდიული მომსახურების შესყიდვის, მოწმეებისა და უცხოელი ექსპერტის (ექსპერტების) სასამართლო პროცესში მონაწილეობის, ასევე ამ საქმესთან დაკავშირებული სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების უზრუნველსაყოფად და საქართველოს კანონმდებლობით მასთან დაკავშირებული გადასახადების დასაფინანსებლად	3,302,952.3	148,167.5	148,153.0	14.5

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
